კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადაფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადეფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადაფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადეფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არა ბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

შპს მეტეორი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- საოფისე აღჭურვილობა 5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი 5-7 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს და საკრედიტო ხაზს, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება უცხოურ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოქმნილია საქონლის იმპორტის დროს და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
(გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

(ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
(გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდიანრე წელს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან	**2023**	**2022**
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	25,194,475	49,576,485
დაბრუნებები	(426,055)	(281,867)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(23,400,764)	(45,573,881)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**1,367,656**	**3,720,737**

შენიშვნა 4 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2023**	**2022**
საიჯარო ხარჯები	341,535	182,744
სახელფასო ხარჯები	240,021	201,305
ცვეთა და ამორტიზაცია	25,594	44,708
მივლინების ხარჯები	22,198	28,548
საბანკო ხარჯები	21,326	18,749
საწვავის ხარჯები	10,700	19,843
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	9,975	15,548
კომუნიკაციის ხარჯები	4,200	4,065
კომუნალური ხარჯები	3,230	3,525
საპენსიო ხარჯები	2,924	3,380
საოფისე ხარჯები	2,123	2,897
რემონტის ხარჯები	1,320	13,125
უიმედო მოთხოვნები	157,186	260,112
სხვა ხარჯები	43,509	37,820
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**885,840**	**836,370**

შენიშვნა 5 - სხვა საოპერაციო ხარჯები	**2023**	**2022**
მარაგების გაუფასურების ხარჯი	2,614,038	-
ძირ. საშუალების რეალიზაციის შედეგი	55,500	17,299
სხვა საოპერაციო ხარჯი	1,743	6,520
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**2,671,281**	**23,819**

შენიშვნა 6 - ფინანსური შემოსავალი	**2023**	**2022**
საპროცენტო შემოსავლები	48,231	62,808
მოგება საკურსო სხვაობიდან	81,550	662,430
სულ ფინანსური შემოსავალი	**129,782**	**725,238**

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება	**სატრანსპორტო საშუალებები**	**ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**სხვა ძირითადი საშუალებები**	**სულ**
თვითღირებულება	345,088	36,759	22,469	519,806
ცვეთა	(58,567)	(32,309)	(4,260)	(210,626)
საბალანსო ღირებულება 31/12/2021	**286,521**	**4,451**	**18,208**	**309,180**
დანამატები	192,434	-	-	**192,434**
აქტივების ჩამოწერა	(457,993)	-	-	**(457,993)**
ცვეთა პერიოდისათვის	(42,808)	(1,900)	-	**(44,708)**
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	68,439	-	-	**68,439**
ბალანსი 31/12/2022	**46,593**	**2,551**	**18,208**	**67,352**
დანამატები	331,889	-	-	**331,889**
აქტივების ჩამოწერა	(133,500)	-	-	**(133,500)**
ცვეთა პერიოდისათვის	(24,684)	(909)	-	**(25,594)**
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	**-**
ბალანსი 31/12/2022	**220,297**	**1,642**	**18,208**	**240,147**
ბალანსი 31/12/2022	**46,593**	**2,551**	**18,208**	**67,352**
ბალანსი 31/12/2023	**220,297**	**1,642**	**18,208**	**240,147**

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**31.12.2023**	**31.12.2022**
გასაყიდად გამიზნული საქონელი	3,947,201	14,087,451
სხვა მარაგები	5,301	1,406
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**3,952,502**	**14,088,856**

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**31.12.2023**	**31.12.2022**
სავაჭრო დებიტორული დაალიანებები	2,780,648	3,731,718
გადახდილი ავანსები	506,477	193,545
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	(260,112)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**3,287,125**	**3,665,150**

შენიშვნა 10 - ფული და ფულადი ექვივალენტები	**31.12.2023**	**31.12.2022**
ლარი საბანკო ანგარიშებზე	183,839	276,293
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	165,621	5,507
ნაღდი ფული სალაროში	62,604	59,697
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**412,064**	**341,497**

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**31.12.2023**	**31.12.2022**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	632,510	5,493,122
მიღებული ავანსები	320,202	590,807
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**952,712**	**6,083,929**

შენიშვნა 12 - მიმდინარე სასესხო ვადლებულებები	**31.12.2023**	**31.12.2022**
მოკლევადიანი სესხები	2,682,281	4,430,431
გადასახდელი პროცენტები	12,348	-
	2,694,629	**4,430,431**
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები	2,694,629	4,430,431
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები	-	-
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	**2,694,629**	**4,430,431**

შენიშვნა 12 - მიმდინარე სასესხო ვალდებულებები (გაგრძელება)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31.12.2023		31.12.2022	
				ევრო	ექვივალენტი ლარი	ევრო	ექვივალენტი ლარი
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	7.81%	01.03.2024	1,516	4,511	19,033	54,899
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.00%	04.10.2023	-	-	16,964	48,932
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.00%	03.01.2023	-	-	400,000	1,153,760
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.00%	03.02.2023	-	-	500,000	1,442,200
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	7.00%	03.01.2023	-	-	300,000	865,320
სს საქართველოს ბანკი"	ევრო	7.00%	03.01.2023	-	-	300,000	865,320
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	7.00%	18.03.2024	500,000	1,487,650	-	-
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	7.00%	18.03.2024	400,000	1,190,120	-	-
სულ სესხები დოლარში				**901,516**	**2,682,281**	**1,535,997**	**4,430,431**

	2023	***2022***
სესხები 1 იანვრის მდგომარეობით	*4,430,431*	*4,295,162*
სესხის მიღება	*3,469,845*	*6,141,048*
გადახდები წლის განმავლობაში	*(5,246,294)*	*(5,339,303)*
საპროცენტო ვალდებულების დაფარვა	*(105,180)*	*(129,262)*
პროცენტის დარიცხვა	*117,528*	*129,262*
დადებითი საკურსო სხვაობა	*28,299*	*(666,476)*
სულ სესხები	***2,694,630***	***4,430,431***

13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სახელფასო ფონდი 2023 წელს შეადგენდა 38,265.36 ლარს, ხოლო 2022 წელს 21,428.52 ლარს სხვა სახის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ არის იდენტიფცირებული.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

მმართველობითი ანგარიში

11 სექტემბერი 2024წ.

დირექტორი:

მალხაზ კლაჯეიშვილი

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ეწევა რძის და რძის პროდუქტების ნედლეულით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია ახორციელებს რძის პროდუქტების ნედლეულის იმპორტირებას და ადგილობრივი ბაზრების მომარაგებას.

კომპანია ფლობს საქართველოს მასშტაბით ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი მალხაზ კლაჯეიშვილი პ/ნ 01005002102.

კომპანიის დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია მალხაზ კლაჯეიშვილი.

კომპანია 2006 წლის 31 ოქტომბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ # 6 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 200209997.